№3 2003 წელი

# დილა

572
2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოტოლექსები

**ვაჟა ბაბუ**

*

გამეღვიძა და სახლში
არც ერთი რომ არ იყო,
მომენატრა დედიკო,
მომენატრა მამიკო;
მაგრამ განა ავტირდი
და განა გავიბუტე,
მათი ფოტო მოვნახე
და გულში ჩავიხუტე.



*

მფრინავმა თეფშმა ფინჯანში ნატვრის
საჭესთან დასვა თენგო და რატი
და საქართველო შემოატარა...

ჰოდა, აავსო ორი პატარა
უნაზესმა დანაირფერება
მშობელი მიწის
მშვენიერებამ.



*

როგორც ყოველთვის, დღესაც,
ტანდემს ძლიერს და ძმურს
მე და მაიმუნს ჩემსას
მაიმუნობა გვძულს.



## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

## 1 ივნისი

*

თუმცა ინფორმაციით
თავი გამოუტენეს,
მეტი მაინც ჩვენ გვესმის,
ვიდრე კომპიუტერებს.

*

გამოვძეხი საცივით,
ღომითა და ელარჯით,
ახლა,
მამას თუ ვკითხავთ,
შესაჭმელი მე დავრჩი.





*

ქოთქოთა და ქაქანა
კარლო ბაბუს მანქანა
მუდამ, როცა მცალია,
ჩემი დასაცავია.
მამაცი ვარ, ბრძენი ვარ,
შეუცვლელი მცველი ვარ!

**ვლადიმერ ასლამაზიშვილი**

# მიამიტი

ტრაქტორს ჩვენი მიწის ნაკვეთი მოეხნა. მიხო პაპამ მითხრა, წამოდი, ვნახოთო.

გავყევი. ჩავიარეთ სოფლის ორღობეში. გავედით ძეძვითა და მაყვლის ბარდებით მოდებულ საძოვარზე. იმის იქით უკიდეგანო, სიცხით ჩამობუღული ალაზნის ველი გაშლილიყო. შორს, ძალიან შორს მაღალი, თოვლიანი მწვერვალები მოჩანდა. ცოტა ხანს კიდევ ვიარეთ და საშემოდგომოდ გადახნულ მინდვრიანს მივადექით.

– ამ მიჯნიდან იწყება ჩვენი წილი სახნავ–სათესი! – თქვა პაპამ და მიწაში ღრმად ჩარგულ, ჩემ სიმაღლე რკინის ჟანგიან ბოძთან გაჩერდა. მერე ხნულის გასწვრივ გაემართა, იარა, იარა და მიწიდან ამოშვერილ თეთრი ქვის მიჯნასთან მივიდა. იმას იქით სხვისი მიწის ნაკვეთი იწყებოდა. ისიც მოხნულ-გადაშავებული. ქვევით ერთ ადგილზე ჭილყვავები ჩამომსხდარიყვნენ. ჩხაოდნენ. პაპამ თქვა, ნახნავში ჭიაღუას, ხვლიკებსა და მინდვრის თაგვებს დაეძებენო.

პაპა ჩვენს ნაკვეთში გადავიდა. მიწა დამუჭა და თითებით დაფშვნა.

– გვალვისაგან გამშრალა, კარგი, შხაპუნა წვიმა უნდა, რომ ჩაალბოს, ჩააბუჟბუჟოს, მერე ხორბლის თესვის დროც მოვა.

მიხო პაპა ახლა მეზობლის ნაკვეთში გადავიდა. იქაც მიწა მოსინჯა ხელით.

– ერბოსავით მიწაა, ღალიანი. წელი რომ არ მტკიოდეს, ამ ბელტებს ჩვენს ნახნავში გადავზიდავდით!

– პაპა მიწის მოპარვას აპირებს? – გავიფიქრე და გაკვირვებულმა შევხედე.

– რას ამბობ, პაპა, ეგ ხომ ქურდობაა!

– შენ გგონია, პატრონი რამეს იტყვის? პირიქით, გაუხარდება, მიწის ბელტებს რომ მოვაშორებთ. სამაგიეროდ ჩვენს მიწას ღალა მოემატება, მოსავალი გაბევრდება!

პაპა წელს მართლა იტკივებდა. თუკი მეზობელსაც გაუხარდებოდა ბელტების მოშორება, რატომ არ უნდა გავრჯილიყავი? ერთ ბურთისხელა ბელტს ორივე ხელი დავავლე და ჩვენს ნახნავში გადავარბენინე. მეორე ცოტა იმაზე დიდი შევარჩიე, მძიმე იყო, მაგრამ ისიც ყოჩაღად ავწიე. მესამედ რომ მოვბრუნდი, თვალი მიხო პაპასკენ გავაპარე. ის სამიჯნე ქვაზე ჩამომჯდარიყო და იცინოდა.

– მოდი აქ! – ხელი დამიქნია.

მივედი.

– შენხელა რომ ვიყავი, ჩემს ძმას გავყევი მინდორში. ცხვარი გვყავდა მოსაძოვებლად. იმანაც წელის ტკივილი მოიგონა და სხვისი ხნულიდან ჩვენსაში მიწის ბელტები მაზიდვინა. ოფლი რომ დამაყარა და არაქათი გამომელია, სიცილით თავში წამიფაჩუნა და მითხრა:

– ე, მიამიტო, ვერ უნდა მიხვდე, რომ აქ სულ ერთნაირი მიწაა, ჩვენიც და მეზობლისაც. დაუკვირდი, ვინც რას გეტყვის, ადვილად ნუ დაუჯერებ, ტყუილ-მართლის გარჩევა უნდა შეგეძლოსო.

უკან, სოფლისკენ რომ მოვდიოდით, პაპას შევეხვეწე, ჩემი მიამიტობის ამბავი არავისთან წამოგცდეს-მეთქი.

პაპა სიტყვის კაცია. არავისთან წამოსცდენია.

ახლა ჩემს ბიძაშვილს ველოდები. რთველში მეწვევა. მინდორში წავიყვან. მეც წელის ტკივილს მოვიგონებ. ვნახავ, რა ხვითოა, მინდა იმის მიამიტობა შევამოწმო. ცოტა თუ იმანაც ზიდა ბელტები, რა უშავს, ბუთხუზა, ჯანიანი ბიჭია, მოუხდება კიდეც!

მხატვარი
**ვაჟა ქურხული**





ლია კობალაძე

## ყიყლი- ყიყლი- ყიყლიყო

ყიყლი-ყიყლი-ყიყლიყო,
გაიღვიძე, ნათია,
ცაზე უკვე ცხრათვალა,
კაშკაშა მზე ანთია.
ჩიტუნიებს ბაღჩაში
ლხინი გაუმართიათ,
შენი ფისოც პირს იბანს,
საქმიანი თათი აქვს!
დედოფლები უშენოდ
დილას დილად არ თვლიან,
თუ არ წამოფრინდები,
ზარმაც გოგოდ ჩაგთვლიან!..



ნუნუ ძამუკაშვილი

## ხატაურა

ლამაზია ჩემი ფისო
მე დავარქვი ხატაურა.
ვინც კი ნახა, ყველას მოსწონს,
ყველას მისი ხატვა უნდა.
ერთი სიტყვა ძლივს ისწავლა,
გაიძახის: — მიავ, მიავ,
მისი ადგილსამყოფელი
წამსვე იცის თაგუნიამ.
გადაჰყვება თამაშს მუდამ,
იწევს ხოლმე ლელას, ქეთის,
აღარ დადის სანადიროდ
დაავიწყდა სათაგვეთი.
ხან გამოდის ესტრადაზე
თვალებს ნაბავს: — მიავ, მიავ,
და საერთოდ აღარ ახსოვს
რომ ის არის ფისუნია.

დალი მაზმიშვილი

## ასე მორჩა ბაჭია

მთელი დღეა, კბილი სტკივა,
ძლივს ვაკავებთ ნაცარას,
ექიმთან ვერ წაიყვანეს,
არც ჰო თქვა და არც არა.
ექიმს სახლში დაუძახეს,
ბინა დააკრიალეს,
მაგრამ ბაჭო ემებეს და
ვერსად ვეღარ მიაგნეს.
ბოლოს ჩუმად შემობრძანდა,
ექიმი რომ წავიდა,
თქვა, არც კბილი არ მტკივა და
არც ექიმი არ მინდა.



მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა შემოქმედება





დათო ლაპიაშვილი, 8 წლის



ლიმაკო მომანდი
122-ე საშ. სკოლის
III კლასის მოსწავლე

## ერთი ფოთლის თავგადასავალი

ფერადი სამოსით შეიმკო ბუნება. იგი ფეხაკრეფით მოიპარება და მოხერხებულად იმალება ხეების ტოტებში. ალაგ-ალაგ შეყვითლებიათ ფოთლები ცაცხვსა და მუხას. ცეცხლის ენებად კიაფობენ ნეკერჩხლები, ნარინჯისფრად იმოსებიან ვერხვები. დაიწყო ფოთოლცვენა... ბუნების სასწაული. ერთ დღეს ცა ზამთრისპირულად მოიქუფრა. დაუბერა ცივმა ქარმა და ნეკერჩხლის ხიდან ერთი დიდი ფოთოლი ჩამოაგდო. ფოთოლი საცოდავად მოღუნულიყო და კანკალებდა. ძლიერმა ქარმა ის დანარჩენ ფოთლებთან ერთად ჰაერში აიტაცა, დაატრიალა და სხვადასხვა მხარეს მიმოფანტა. ნეკერჩხლის ფოთოლი ნათიას აივანზე დაეცა. გოგონას ძალიან გაუხარდა, მოეწონა და სახლში შეარბენინა. მერე დიდხანს ტკბებოდა ფოთლის სილამაზით.



ნინო შერაზადიშვილი, 11 წლის







ქეთი როყვა, 12 წლის



ერეკლე ქეშელაშვილი, 11 წლის





ნიკა მელაძე, 5 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანაქარსისი

(ჩვ. წ.-მდე დაახლ. 638-559 წწ.)



განთქმულ ფილოსოფოსთაგან ერთნი ფილოსოფიურ სისტემებს ქმნიან, მეორენი — სკოლებს, მესამენი კი თავიანთ ფილოსოფიას საქციელით, საქმეებით, სიტყვებით (ისტორიული ანეკდოტებით, ფრთიანი ფრაზებით, პარადოქსებით, გონებამახვილური და ლოგიკური დავალებებით, აფორიზმებით) აყალიბებენ. სწორედ მესამეთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი ანაქარსის სკვითიელი (იგი სკვითიის მეფის გნურის და ბერძენი ქალის შვილი იყო).

ერთხელ ანაქარსისი ათენში მეგობართან, სახელგანთქმულ თოქსარისთან ერთად ჩავიდა და დიდ კანონმდებელსა და ბრძენს სოლონს მიადგა. ანაქარსისმა კარის მონას სთხოვა, სოლონისთვის მოეხსენებინა, რომ მოვიდა ანაქარსისი სკვითიიდან და მასთან მეგობრობას ითხოვდა. სოლონმა მონის პირით ასე შეუთვალა კარს მომდგარ უცხოელს: მეგობრების შეძენას კაცი თავის სამშობლოში უნდა ეცადოსო. სკვითიელმა სოლონს შეუთვალა: კი მაგრამ, სოლონი ახლა თავის სამშობლოში არ არის? ჰოდა, რად არ სურს მეგობრის შეძენაო?

ამგვარი გონებამახვილობით განცვიფრებულმა სოლონმა ახირებული სტუმარი მიიღო, უკეთ გაეცნო მას, აღფრთოვანდა მისი ჭკუა-გონებით და საუკეთესო მეგობრებიც გახდნენ.

## მაყვედრებელი ათენელი



ანაქარსისი ათენის ქუჩებში დასეირნობდა და გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა. გასაოცარია, — ფიქრობდა სკვითიელი ბრძენი, — ათენელები ფილოსოფიას სიბრძნის დასაუფლებლად სწავლობენ, მაგრამ პირს გააღებენ თუ არა, ბრიყვულად ლაპარაკობენ, სპარტელები კი, პირიქით, ფილოსოფიას ვერ იტანენ, თუმცა მჭევრმეტყველნი არიანო. უცებ გვერდით მიმავალმა კაცმა ჰკითხა:

— სკვითო ბრძენო, მითხარი, რა არის ადამიანში ის, რაც ერთდროულად ჭკვიანურიცაა და ბრიყვულიც?

— ენა! — უპასუხა ანაქარსისმა და გზა განაგრძო.

ამ საუბარს ერთმა მაყვედრებელმა დედაკაცმა მოჰკრა ყური. გაკაპასდა და სხვა რომ ვერაფერი მოუძებნა, სკვითობა დააყვედრა, აქაოდა, დიდებული ქვეყნის შვილი ვარ და არა სკვითიისაო. სკვითმა ბრძენმა მშვენივრად იცოდა საბერძნეთის დიდებულება, იცოდა, რომ სკვითია მას ვერ შეედრებოდა და გულდაწყვეტილმა ასე უპასუხა დამამუნათებელს:

— რას ვიზამთ, ქალბატონო, საუბედუროდ სამარცხვინოა ჩემი სამშობლო, შენ კი სამარცხვინო ხარ სამშობლოსთვის.

## ეს ყველაზე საიმედოა!

პირეოსში, მირტოს ზღვის კამკამა, ფირუზისფერ სივრცეს მიჩერებული ანაქარსისი, რაღაცაზე ღრმად ჩაფიქრებულიყო. ვინ უწყის, რაზე ფიქრობდა სოლონის კოლეგა და მეგობარი. ფილოსოფოსი ანაზდად შორიახლო მოყაყანე მეზღვაურებმა გამოაფხიზლეს. სკვითი მოდავეთა ჯგუფს მიუახლოვდა. ერთმა უმალ შეიცნო შვიდ ბრძენთაგან ერთ-ერთი და გახარებულმა შესძახა:

— გვითხარი, ბრძენთაბრძენო, ამ ხომალდთაგან რომელია ყველაზე საიმედო?

ბრძენმა მშვიდად გახედა ნაპირთან მოდრეიფე გემებს, მერე ნაპირზე გამორიყულ ქვიშაში სანახევროდ ჩაფლული ორხხომელისკენ თითი გაიშვირა და დაჯერებულმა თქვა:

— აი, ეს!.. ესაა ყველაზე საიმედო!



მოამზადა ალეკო გაბელაიამ

# ჰერალდიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინტერესო ამბები გერბის ისტორიიდან

**გერბი** (გერმ. Erde — მემკვიდრეობა) არის ემბლემა, რომელზეც განლაგებულია სიმბოლური მნიშვნელობის ფიგურები და საგნები. არსებობს სახელმწიფო, სამიწაწყლო, კორპორაციული და საგვარეულო გერბები, რომლებსაც გამოსახავენ დროშებზე, ბეჭდებზე, მონეტებზე, არქიტექტურულ ნაგებობებზე, იარაღზე...

უძველეს დროში გერბის პირველსახე იყო ტომის ან გვარის მფარველი ცხოველების ტოტემური გამოსახულებები. ჯერ კიდევ ჩვ. წ.-მდე III ათასწლეულში არსებობდა შუმერის სახელმწიფოს გერბი — ლომისთავიანი არწივი. ცნობილია ასევე სპარსეთის გერბი — არწივი (შემდგომში რომის გერბიც იყო). ორთავიანი არწივი ამშვენებდა ბიზანტიის, მოგვიანებით — რუსეთის გერბს. არწივის გამოსახულება დღეს 30-მდე ქვეყნის სახელმწიფო გერბის სიმბოლოა (მას კიდევ უფრო ხშირად შეხვდებით ქალაქებისა და საგვარეულო გერბებზე). ასეთ დიდ ყურადღებას არწივი თავის ძალას და არისტოკრატიულ გარეგნობას უნდა უმადლოდეს.




ნიგერია




ამერიკა

შეერთებული შტატების ეროვნული სიმბოლოა ამერიკული თეთრთავა არწივი. უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე ბენჯამენ ფრანკლინი, რომელიც წარმატებით იბრძოდა ბრიტანეთის იმპერიისაგან ამერიკის კოლონიის განთავისუფლებისთვის, თავდაპირველად არაფრით თანხმდებოდა, რომ ახალშექმნილი სახელმწიფოს საგერბო ემბლემად თეთრთავა არწივი დაემტკიცებინათ. 1784 წელს ფრანკლინმა შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა თავის ქალიშვილს: „მე არ მინდა, რომ ამ მიზნით თეთრთავა არწივი გამოიყენონ. ის ხომ თავის არსებობას უპატიოსნო და არამშვიდობიანი გზით უზრუნველყოფს. ურიგო არ იქნებოდა, საამისოდ გამოგვეყენებინა ინდაური (იგულისხმება ამერიკული გარეული ინდაური). იგი მამაცი ფრინველია.“

არწივმა მაინც აჯობა ინდაურს. რაც შეეხება უპატიოსნო გზით არსებობას, ამ მხრივ თეთრთავა არწივს რეპუტაცია თვითონ ამერიკელებმა შეულახეს. მას უხეირო მეთევზეობა და სხვისი ნადავლის მითვისება დასწამეს, მეტიც, მშიშარად და ლეშიჭამიად შერაცხეს. სინამდვილეში თეთრთავა არწივი სხვა არწივებზე ურიგო მონადირე როდია, თუმცა ზოგჯერ მართლაც სცოდავს და ყორნის საკადრის საქმესაც არ თაკილობს. ამ ფრინველს ამერიკელებმა მარტო სახელი როდი გაუტეხეს. ერთ დროს მისი მოსპობისთვის პრემიაც კი იყო დაწესებული. იშვიათი ფრინველი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ცოტაც და, მის მოსაგონრად ამერიკელებს მარტო გერბი შერჩებოდათ, მაგრამ თეთრთავა არწივის წინააღმდეგ ომს ვეტო დაადეს. დღეს შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ამ არწივს კანონი იცავს.



ავსტრია



ესპანეთი



ალბანეთი



გერმანია




განა



ეგვიპტე



ლიხტენშტეინი



მექსიკა



ინდონეზია



ისლანდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მერი ბოლქვაძე**

# სიურპრიზი

კუ კუფუ რამდენი ხანია შარაგზის აქეთა ნაპირას დგას და შარაგზის იქითა მხარეს გაიყურება.

— რას უყურებ ასე დაჟინებით, კუფუ? — დაინტერესდა ჩიტუნია ნაბი, ხიდან ჩამოფრინდა, კუფუს გვერდით დასკუპდა და შარაგზის იქითა მხარეს გახედა.

— ჰო, მეც მიკვირს, ასე გაუნძრევლად რომ დგახარ ერთ ადგილას; რას უყურებ, უყურებ და უყურებ? — შეეკითხა ციყვი ციკოც, ხიდან ჩამოცოცდა, ისიც ნაბივით კუფუს გვერდით დაჯდა და მანაც შარაგზის იქითა მხარეს დაიწყო ყურება; კუფუმ ნაღვლიანად ამოიოხრა:



— არაფერსაც არ ვუყურებ, შარაგზის იქითა მხარეს მინდა გადასვლა.

— ვინ გიშლის, კუფუ?

— ველოდები...

— რას ელოდები?

— ღამეს. მანქანები რომ დაიძინებენ, მაშინ გადავალ.

— ჰოო, რასაკვირველია...

მართლაც, ახლა ყველაფერი გასაგები იყო. შარაგზაზე მანქანები ცოფიანებივით მიქრი-მოქრიან, ვინ წინა და ვინ უკანა, — გასწრებაზე არიან, თან სხვადასხვანაირ, — ზოგი წვრილ, ზოგი ბოხ ხმაზე გაჰყვირის: პი-პი, ბი-ბი, მი-მიი...

შეიძლება ასე? ყოველ გადასვლაზე ამ დღეშია კუფუ, არადა, იქითა მხარეს ხშირად მეგობართან, კუ თოთიასთან მიდის ხოლმე სტუმრად.

ციკომ და ნაბიმ ერთმანეთს შეხედეს; ეს ამას ნიშნავდა: „რა ვქნათ, რითი დავეხმაროთ კუფუს, რომ ლოდინით არ გაწვალდეს? ქალბატონი, დედოფალი ღამე ფეხს არასოდეს აუჩქარებს, არ გამოიქცევა, იცის თავისი დრო, როცა უნდა მობრძანდეს. ნეტავ, ნაბი დიდი ფრინველი იყოს, აი, მაგალითად. როგორც წეროა, გედი, ან უფრო დიდი, როგორც არწივი; ფრთებზე შეისვამდა და გზის იქითა მხარეს გადაფრინდა. ციყვს კი, შეუძლია ზურგზე შეისვას და ისე გადაარბენინოს, მაგრამ ისეთი დამთხვეულია, ისე ახტის და დახტის, სადღაც გადმოუვარდება; თანაც... არა, არა... ამ შარაგზაზე ციკოც ვერ გადაუსწრებს მანქანებს“.

— რა ვიღონოთ, ციკო?

— რა ვიღონოთ, ნაბი?

— არაფერიც არ უნდა იღონოთ; მე უკვე ვიღონე! გაისმა ხმა, ერთ ადგილას მიწა გაირღვა და ამოფართხუნდა თხუნელა ჯაკუ:

— სიურპრიზი! მე სიურპრიზი მაქვს კუფუსთვის! — საზეიმოდ გამოაცხადა თხუნელამ.

— სად? — აქეთ-იქით ყურება დაიწყეს ციკომ, ნაბიმ და კუფუმ.

— აქ. ვიდრე თქვენ ბჭობდით, რა ვიღონოთო, მე გვირაბი გავთხარე მიწისქვეშეთში; ჩამოძვერი კუფუ!

— მანდ რა უნდა, მაგ ქვესკნელში და ჯურღმულში, ჯაჯუ?



მხატვარი **ნანა სანაია**

— უნდა!

კუფუ არც დაფიქრებულა, გაჰყვა ჯაჯუს; ორივენი მიწის ქვეშ გაუჩინარდნენ. ციკო და ნაზ... დაფაციცებულნი ელოდნენ, რა მოხდებოდა. კარგა ხნის შემდეგ კუფუმ შარაგზის იქით მიწისქვეშეთიდან ამოყო თავი, ამობობღდა და თავის მეგობარ თოთიასკენ გაუდგა გზას...

აი, სიურპრიზიც ამას ჰქვია:

ახლა კუფუს უკვე მიწისქვეშა გადასასვლელი აქვს. ძალიან კარგი; მანქანები ვერაფერსაც ველარ დააკლებენ.





მზია ჩხეტიანი

## თუ გინდა, რომ იყო კაცი

— განა ათჯერ?
— ოცჯერ?
— ასჯერ?
— მილიონჯერ! ვინ არ გითხრა:
არ დადგება შენგან კაცი,
რადგან შენ არ გიყვარს კითხვა.

მიუჯდები ტელევიზორს,
აცეცდები დიდხანს, დიდხანს,
თავში გიდგას აბდაუბდა,
სულში გიდუღს ცოდვის კითხვა,
აღარ ვიცი, რა ვიღონო,
რით გიშველო, როგორ გიხსნა!

ხელში პულტი, წკაპი-წკუპი,
ტელეარხი... არხი... არხი...
ვერ მოგწყვეტენ ეკრანს თუკი
შენ არ მოგწყდა კინწი დაღლილს.

თუ გინდა, რომ იყო კაცი,
კაცურ სიტყვით, საქმით, ღვაწლით,
უნდა გცნობდნენ უკვე, როგორც
კარგ მწიგნობარს, ნაკითხ ყმაწვილს.





მხატვარი გია ლაფაური



# რაგბი



დაწყება ცენტრიდან



ლელოს გატანა



გუნდური გატანა



შერკინება

რაგბის ქართველ წინაპარს გურიაში „გატანიე ბურთს“ (ლელობურთს) ეძახდნენ. ამ თამაშს სახალხო სპორტის სახე ჰქონდა: ორ მოწინააღმდეგე გუნდს, რომლებსაც სხვადასხვა კუთხის ან სოფლის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ, ერთგული გულშემატკივრები შეძახილებით ამხნევებდნენ, წესრიგს კი მსაჯები – მხცოვანი თავადები იცავდნენ. თამაშის არსი იყო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის ლელოში. გუნდში ყველამ თავისი მოვალეობა იცოდა: ერთი მღლეტელი იყო, მეორე – გამქცევი, მესამე – გზის ამრევი, სხვანი – გამქცევის დამცველი, გზა-გზა დამალული შემცვლელი, მარქაფა შემონახული მოთამაშეები... წესებიც არა დაწერილი, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული იყო.

ამიტომ არის, რომ ქართველებს რაგბი წმინდა წყლის ბრიტანულ თამაშად არ მიაჩნიათ, საქართველოში სპორტის ამ სახეობის მიმართ სიყვარული და ერთგულება გარკვეულწილად ლელობურთის დამსახურებაცაა.

რა თქმა უნდა, თანამედროვე რაგბის წესები უფრო მკაცრი და დახვეწილია, ვიდრე გატანიე ბურთისა. თითქმის ყოველწლიურად მასში ახალ-ახალი ცვლილებები შედის და მას თვალყურს ადევნებენ როგორც პროფესიონალი და მოყვარული რაგბისტები, ისე გულშემატკივრები.

თუ გადაწყვიტე თვალყური ადევნო რაგბის მატჩს, უნდა იცოდე ის ელემენტარული წესები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრებთ. სხვაგვარად თამაშს ალღოს ვერ აუღებ;

აი, ეს წესებიც:

რაგბის გუნდში 15 ძირითადი მოთამაშეა და 7 სათადარიგო.

მატჩის ხანგრძლივობაა ორი 40-წუთიანი ტაიმი.

თამაშს იწყებს ის გუნდი, რომელმაც კენჭისყრაში გაიმარჯვა, მაგრამ არ გაგიკვირდეს, თუ მეორე გუნდმა დაიწყო – ეს იმას ნიშნავს, რომ იღბლიანმა კაპიტანმა თამაშის დაწყებას მოედნის სასურველი მხარის აირჩევა ამჯობინა. ბურთს ურტყამენ შუა ხაზიდან. დამრტყმელის მთელი გუნდი ბურთზე უკან უნდა იყოს, მეტოქე გუნდი კი – 10-მეტრა ხაზზე ან მის უკან.

თამაშის მთავარი პრინციპია, ბურთი ხელთ იგდო და მეტოქის ლელოსკენ გაიქცე.

**ბურთი მოთამაშემ მხოლოდ უკან მდგომს უნდა მიაწოდოს, რადგან წინ მგომი ყველა თანაგუნდელი თამაშგარეა.**

ბურთის წინ გადაწოდება ისჯება საჯარიმო დარტყმით;

მოწინააღმდეგეს შეუძლია ბურთიანი მეტოქის **შებოჭვა** და მიწაზე წაქცევა.

მხატვარი
გია ლაფაური

რაქსა და მოლში



თამაშგარე



საჯარიმო დარტყმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსაჯები






22881

**რაქი** თამაშის ის მომენტია, როცა ორივე გუნდის თითო ან მეტი მოთამაშე მიწაზე დავარდნილი ბურთის გამო ერთმანეთს ზეზეულად შეეჭიდება. მოთამაშე ამ დროს ფეხით ცდილობს ბურთის მოპოვებას.

**მოლი** გაიმართება, თუ ბურთიან მოთამაშეს ერთი ან მეტი მეტოქე დაიჭერს და მას ერთი ან რამდენიმე თანაგუნდელი მიეშველება. ყველა ეს მოთამაშე ფეხზე უნდა იდგეს.

თამაშის დროს ბურთაობის განახლება რამდენიმე ხერხით შეიძლება.

აუტიდან თამაშის განახლება ხდება სწრაფად შემოგდებით ან დერეფნის მეშვეობით, მეტოქე გუნდების **დერეფნის** მოთამაშეები ეწყობიან ერთმაგ, პარალელურ, აუტის ხაზისადმი მართობულ მწყობრად. აუტიდან მოწოდებული ბურთის მოსაპოვებლად დერეფნის ერთ-ერთი მონაწილე ჰაერში ხტება, დანარჩენები კი ხელს აშველებენ. (ნახატი)

**შერკინების** დანიშნულებაა თამაშის დროულად განახლება. შერკინებისას თითო გუნდიდან რვა მოთამაშე დგება; ერთმანეთს ხელს გადახვევენ და სამ ხაზად დაეწყობიან. ამით იქმნება გვირაბი. 9 ნომერი ისე შეაგდებს ბურთს, რომ წინა ხაზის მოთამაშეებმა მის დასაუფლებლად ფეხით იბრძოლონ.

**თავისუფალი და საჯარიმო დარტყმები** ინიშნება მართალი გუნდის სასარგებლოდ, მეტოქის მიერ წესის დარღვევის გამო. ინიშნება დარღვევის ადგილზე; სრულდება ნებისმიერი ხერხით: ხელით, არეკნით ან მიწიდან ფეხის დარტყმით. (**არეკნით დარტყმისას** ბურთს ხელით ძირს დააგდებენ და პირველი არეკნისთანავე დაარტყამენ ფეხს.)

როცა შემტევი მოთამაშე პირველი დაამიწებს ბურთს მეტოქის ლელოში, ითვლება **ლელო.** ამის შემდეგ გუნდს უფლება ეძლევა, კარში დარტყმით გოლიც გაიტანოს. ამ დარტყმას **გარდასახვა** ეწოდება. იგი სრულდება მიწიდან დარტყმით ან არეკნით და გოლი ჩაითვლება, თუ ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის და ხარიხის ზემოთ გაივლის.

თუ დარტყმის შემდეგ ბურთი შეეხო მიწას ან დამრტყმელის გუნდელს, გოლი არ ჩაითვლება.

თუ ბურთი ხარიხას გადასცდება, მაგრამ შემდეგ მას ქარი უკან, მოედნისკენ წამოიღებს, გოლი მაინც ჩაითვლება.

თუ კარში დარტყმის დროს მეტოქე ბურთს უწესოდ შეეხება და ბურთი კარში გავა, მსაჯს შეუძლია გოლი ჩათვალოს, თუკი ფიქრობს, რომ დარღვევის გარეშე გოლი გავიდოდა.

ლელო 5 ქულად ფასობს და, თუ გუნდმა გარდასახვაც გაიტანა, კიდევ 2 ქულას მიიღებს.

ვფიქრობთ, უკვე თავისუფლად შეძლებ ქართველი „ბორჯღალოსნების“ თუ „ხულიგნების“ ღირსეული გულშემატკივარი იყო, თავის დროზე დაუკრა ტაში და შესაფერ დროს გაამხნეო შენი გუნდი აღტაცებული შეძახილებით.




ტრიბუნაზე მჯდომი მაყურებლისთვის ხშირად ძნელი შესამჩნევია, გაიარა თუ არა ბურთმა მეტოქის კარის ძელებს შორის. საჯარიმო დარტყმისა და გარდასახვის შემდეგ კარს უკან განლაგებულ თანამსაჯებს უნდა შევხედოთ: გოლი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა ორივე მათგანი ალამს ზეაღმართავს.

როცა გუნდი თამაშის წესს არღვევს, მაგრამ ბურთი მოწინააღმდეგეს რჩება, მსაჯი შემტევს იერიშს აცლის და მხოლოდ მაშინ დაუსტვენს, როცა გუნდი ამ უპირატესობას ვერ გამოიყენებს. ამას უპირატესობის წესი ჰქვია. ასე რომ, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ სასტვენის შემდეგ მსაჯმა თამაში სულ სხვა, წინა დარღვევის ადგილიდან განაახლა.

# მხიარული ლექსები



გივი ჭიჭინაძე
## დათვი

დიდი დათვი, დრუნჩიანი,
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთვრალაო,
დამთვრალა და,
— და, და, და, და
ფეხზე ველარ დამდგარაო.

*„დილა“, №8, 1963.*

მედეა კახიძე
## ჩაუკენჭა

აქეთ ნუში, იქით ნუში,
ნუნუ ცრუ და ბაიყუში,
ყველას წვრილად ჩაუკენჭა —
რაც კი ვუთხარ ჩუმად ყურში,
გავებუტე, მაგრამ არც ეს
არ ჩააგდო აინუნში.

*„დილა“, №9, 1961.*



ტარიელ ხავთასი
## წერილი

— წერილს ვის სწერ, დალი?
— ისევ ჩემს თავს, ლია.
— წამიკითხე აბა.
— ჯერ არ მიმიღია.

„დილა“, №4, 1961.



გიორგი წერეთელი
## მამის სათვალე

სათვალე რომ დაიკოსა —
მაკამ უთხრა მაიკოსა:
— ნეტავ ამით როგორ გვხედავს,
უნდა ვკითხო მამიკოსა.

*„დილა“, №9, 1971.*



დილა 100

მაყვალა მრევლიშვილი
## ჭიჭყინა

ჰაწაწინა თევზებმა
წყლიდან ამოიჭყიტეს:
— ნუ გვემახით ჭიჭყინებს,
აბა როდის ვჭიჭყინებთ!

*„დილა“, №4, 1965.*



მხატვარი ზაურ დეისაძე





შოთა ამირანაშვილი
## გამოტყდა

— ისევ დედამ ამოგიხსნა
მაგალითი, თამაზ?
— მაშ რა მექნა, ვეხვეწე და
არ ეცალა მამას.

*„დილა“, №5, 1962.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ გურგენიძე
## დათუნა

ამისთანა ამბავი
არც ერთ ტყეში არ თქმულა:
დათვის ბელი — დათუნა.
წიგნის კითხვით გართულა.
— რა ენაზე კითხულობს?
— რა თქმა უნდა, დათვურად!

*„დილა“, №10, 1973.*



ვლადიმერ ალფენიძე
## თერმომეტრი

გივი სახლში ბრუნდებოდა
კუნტრუშით და ცეკვითა,
ნახა, გარეთ, ფანჯარასთან
თერმომეტრი ეკიდა.
თანატოლებს დაუძახა,
ეზო შესძრა პატარამ:
— ნახეთ სიცხეს უზომავენ,
ქუჩა ავად გამხდარა.

*„დილა“, №8, 1960.*

დილა 100



დილა 100

ტარიელ ჭანტურია
## XXX

— კუტკალია, კუტკალი!
კუტკალიებს უთხარი:
მთელი ქვეყნის კალიებს
ცალი ფრთა სჯობს ფუტკარის!..

*„დილა“, №7, 1970.*





# სტუმრად მწერალთან

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

*ასეც არის?!. უკვე ოთხმოცი წლისა ვარ.*



ნოდარ და დოდო ხიმშიაშვილები






დოდო საყვარელ ხბოსთან

მერე რაა. ყველა წლოვანება მშვენიერია, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, ჩემო კარგებო, ბავშვობას მაინც არაფერი სჯობს. ალბათ იმიტომაც მიადვილდება, ეს მძიმე ტვირთი (ოთხმოცი წელი) ჩემი მხრებით იოლად ვზიდო, რომ თქვენს ბავშვობაში ჩემს ცხოვრებას ვხედავ. ძალიან მიყვარს ჩემი სანუკვარი ბავშვობა. ასკინკილა, ღიღინ-ღიღინით რომ გავირბინე. ალბათ შემეკითხებით – მართლა მახსოვს? მახსოვს რომელია. ყოველი დღე მახსოვს. იწყებოდა ცისფერი გარიჟრაჟით, ჩიტების ჭიკჭიკით, ვარსკვლავების ციმციმით მთავრდებოდა. ვარსკვლავების ჟივჟივიც მესმოდა. ვხედავდი, როგორ დაჰხაროდნენ ჩვენს ცისფერ დედამიწას. ცაში გული არ უდგებოდათ, ჩვენკენ მოფრინავდნენ. ეს საამო საცქერი აგვისტოს ღამეებში ვარსკვლავთცვენა იყო. იწყებოდა ჩვენი აღტაცებული ჟივილ-ხივილი, თითები აღარ გვყოფნიდა ჩამოცვენილი ვარსკვლავების დასათვლელად, ხან კალთას შევუშვერდით, ხან პეშვს, სასწაულისა გვჯეროდა. გვეგონა, ულამაზესი ფიფქებივით დაგვაცვივდებოდნენ თავზე. მახსოვს, დღე იწყებოდა ბდღვრიალა მზის ამობრწყინებით, მთავრდებოდა ლურჯი მთების გადაღმიდან მორცხვი ბადრი მთვარის ნაზი ამოცურებით; დღე იწყებოდა დედის ალერსიანი კოცნით, მთავრდებოდა იავნანათი დამტკბარი ძილ-ბურანში გახვეული გრძელი ჯადოსნური სიზმრებით; დღე იწყებოდა სკოლის ზარის წკრიალით, მთავრდებოდა შინიდან გამოსული გემრიელი კერძის სურნელით; იწყებოდა დღე მამას ჯიშიანი ძაღლების გნიასით, ჩემი ჭკვიანი ძმის წიგნის აღტაცებული კითხვით მთავრდებოდა. ბევრი სიყვარული, დიდი სილამაზე, დიდი ტკივილიც (თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ) მწარედ მახსოვს ასეთია ცხოვრება – ტკბილ-მწარე...

სასწაულისა ახლაც მჯერა. განა თქვენ, ჩემო საყვარელო ბავშვებო, სასწაულები არა ხართ? მაშ რატომ მიყვარხართ ასე ძლიერ?

ამიტომაც, მთელი გულითა და სულით მინდა კარგი ზღაპრები და მოთხრობები მოგართვათ. მინდა სასწაული მოხდეს, – თქვენც ისე შემიყვაროთ, როგორც მე მიყვარხართ.



მხატვარი თეა მიქაია

იცით, თქვენოდენა რომ ვიყავი, პეპლები მიყვარდა. მე მათ მფრინავ ყვავილებს ვეძახდი. სოფელში გამგზავრებას რომ დავაპირებდით, მამა პეპლების სხვადასხვაფერ საჭერებს იყიდდა. ჩემთვის წითელს დავიტოვებდი, დანარჩენს კი მეგობრებს ვაჩუქებდი. დავრბოდი მწვანედ ახასხასებულ, ყვავილებით აჭრელებულ მინდვრებში, მდინარის პირას, ქვიდან ქვაზე ვხტოდი, ვიჭერდი ფრთახატულა პეპლებს, მაგრამ იქვე ვათავისუფლებდი. საცოდავები! ცოტახანს დარეტიანებულები ფარფატებდნენ, მერე იგრძნობდნენ თავისუფლებას, ფრთებს მოხდენილად აიქნევდნენ და გაფრინდებოდნენ ულამაზესი ყვავილებისაკენ. ზოგიერთს გულში ჩაეკვროდნენ და ვიცოდი, ბავშვების სიკეთეზე უამბობდნენ.

ერთხელაც... დამთავრდა ზაფხული. ჩამოვედით ქალაქში. აწკრიალდა სკოლის ზარი, მერხებს მივუსხედით და აი, კიდევ ერთი სასწაული...

კლასში ჩემი საყვარელი მეგობარი შემოვარდა, გვერდით მომიჯდა. მონატრებულს ხელი გადამხვია, გულში ჩამიკრა და გაოცდა... მე თვალებდაჭყეტილი შევცქეროდი მას კი არა, მის სამოსს. „რა მოხდა?“ – ამოვიკითხე მის თვალებში. იცით, როგორი კაბა ეცვა ჩემს მეგობარს? – მდელოსფერი. იმ მდელოზე უამრავი პეპელა ამოექარგა ვიღაც ჯადოქარს ულამაზესად. მაშ ეს სასწაული არ იყო? აქ, ქალაქში, ჩვენს კლასში გაგრძელდა თითქოს ბედნიერი არდადეგები. დღესაც დარწმუნებული ვარ (არც მინდა თავი გადავირწმუნო), ჩემმა მეგობარმა განზრახ ამოაქარგვინა კაბაზე მშვენიერი პეპლები, მე რომ გამხარებოდა.

რა ძლიერია რწმენა, მხოლოდ შენ კი არა, თურმე სხვასაც შეუძლია ძლიერი სიყვარული! თუ ნიჭი გაქვს, სხვისი სიამოვნება საკუთარ ბედნიერებად აქციო, სხვაც გააბედნიერო, აუცილებლად დაინახავს ღმერთი!

ასე, ჩემო კარგებო. გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიყვარულის დიდ ნიჭს, ბედნიერებას, ჩვენი სამშობლოს გასხივოსნებას!











მოგეხვევით და გულითად დიდ
სიყვარულით, უამრავი კოცნით
სურვილებით —
დოდო ხიზანიშვილი-[illegible]
2003 წელი

ჯემალ ჯინჯიხაძე
რომანოზ დანელია





# სახალისო მათემატიკა





მხატვარი თეა მიქაია

## სიგრძე

ეს გეომეტრიის ერთ-ერთი პირველი ცნებაა, ისეთი ცნება, რომლის გაგებამდეც მრავალი ხალხი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ხალხს სიგრძის სრულიად სხვადასხვა ერთეული ჰქონდა.

ჩვენს შორეულ წინაპრებს – უძველეს ქართველებს – სიგრძის საზომად ასეთი ერთეულები ჰქონიათ: ბალანი, ქერის მარცვალი, თითი, გოჯი, გოჯეული, ადგილი, მტკაველი, ადლი, ტერფი, ბიჯი, წყრთა, მხარი, ლელწამი, უტევანი, შაბათის გზა, მილი, ეჯი, მაიომი, ალაჯი, ჩიღირმა. ქართული ხალხური პოეზიის შედევრს – „არსენას ლექსს“ თუ წაიკითხავ, იმასაც გაიგებ, რომ არსენამ ვაჭრებს სიგრძის საზომი გადაუმტვრია და თავისი მტკავლით თვითონ გადაუზომა ჯოხზე სიგრძის ერთეული, – ამით გაყიდეთ ქსოვილიო, უთხრა.



საინტერესოა იცოდე, რომ სხვადასხვა ხალხში სიგრძის საზომი ერთეულების წარმოშობას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. მაგალითად, ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ირკვევა, რომ უძველეს დროში არსებობდა მანძილის საზომი შემდეგი ერთეულები:

„ძროხის ბღავილი“ (ინდიელი ტომები) – მანძილი, რომლის შემდეგაც ძროხის ბღავილი არ ისმოდა.

„მამლის ყივილი“ – მანძილი, რომლის შემდეგაც მამლის ყივილი არ ისმოდა.

„ბუკა“ (ციმბირი) – მანძილი, რომლის შემდეგ ადამიანი ვერ არჩევდა ხარის ორ რქას ცალ-ცალკე.

„ჩიბუხი“ (ესტონელი მეზღვაურები) – მანძილი, რომელსაც დაფარავდა ნავი ნორმალური სიჩქარით იმდენ ხანში, რამდენიც სჭირდებოდა „ერთი ჩიბუხის მოწევას“, თუ მეზღვაური ჩიბუხს პირიდან არ გამოიღებდა.

„სიგარა“ (ესპანეთი) – იგივე ერთეული.

„ცხენის ფეხსაცმელი“ (იაპონია)– გზა, რომელსაც გაივლიდა ცხენი, სანამ არ გაცვდებოდა მისი ჭილოფის ფეხსაცმელი (ძველ იაპონიაში ნალს ცვლიდა).

„ისარი“ (სხვადასხვა ხალხში) – ისრის გაფრენის სიშორე.

ძალიან დიდი დრო და ენერგია დასჭირდა კაცობრიობას, რომ შემოეღო ყველა ხალხისათვის ერთიანი საზომი ერთეულები, მათ შორის სიგრძის ერთეულები:

მეტრი, კილომეტრი, სანტიმეტრი, დეციმეტრი, მილიმეტრი...

ეს ერთეულები შექმნილია ჩვენი თვლის სისტემის ათობითობის საფუძველზე.

დავალება: აიღე ჩვეულებრივი სახაზავი, აგრეთვე, სახაზავი მეტრი, რომლებზეც მოცემულია დანაყოფები და შეეცადე დაადგინო კავშირი მოცემულ ერთეულებს შორის. თუ გაგიჭირდა, უფროსები დაგეხმარებიან. მაგრამ არ უნდა გაგიჭირდეს!

მონაკვეთის სიგრძის ცნებამ ძალზე დიდი როლი ითამაშა მათემატიკის ჩამოყალიბებაში.

მაინც რა არის მონაკვეთის სიგრძე? ეს არის რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენჯერ მოთავსდება ამ მონაკვეთზე ჩვენს მიერ შერჩეული სიგრძის საზომი ერთეული. სხვა სიტყვებით, მონაკვეთის სიგრძე არის რიცხვი, რომელშიც იმდენი ერთეულია, რამდენჯერაც მოთავსდება ამ მონაკვეთზე გასაზომად აღებული სიგრძის ერთეული.

მაგრამ, საინტერესოა, ყოველთვის ზუსტად მოთავსდება თუ არა მონაკვეთზე სიგრძის ერთეული? – არ მოთავსდება და შენ ამას მათემატიკაში ისწავლი.

რა თქმა უნდა, შენ იცი, რომ ქალაქებს შორის მანძილი კილომეტრობით იზომება, მაგრამ ვარსკვლავებს შორის მანძილი კილომეტრობით ვერ გაიზომება; აქ ძალზე დიდი ერთეულებია საჭირო, როგორიცაა სინათლის წელიწადი, პარსეკი. ამას ასტრონომიაში შეისწავლი.



სინათლის სხივი წამში 300 000 კმ-ს გადის. მზიდან ჩვენამდე იგი მოდის რვა-ნახევარ წუთში. უახლოესი ვარსკვლავიდან კი ოთხ წელზე მეტ ხანს უნდება. მეცნიერები სამყაროში უკვე აკვირდებიან ისეთ ვარსკვლავებს, რომელთაგან დედამიწამდე სინათლის მოსვლას მილიონობით, ასეულ მილიონობით და მილიარდობით წელიწადი სჭირდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სალომე ომიაძე

## უსალმო აბესალომი

აბესალომ, ყური მიგდე,
შენიშვნა მაქვს შენთან ერთი,
„გამარჯობა" არც კი გითქვამს,
ისე ამიარე გვერდი.
არ გეწყინოს, უსალმო ხარ,
უსალმო და უცხვირპირო,
ჩემ მახლობლად გავლა როცა
სხვა დროს ისევ დააპირო,
მეგობრულად გირჩევ ამას,
მეგობრულად, არა მტრულად,
„გამარჯობაც" წამოიღე,
შინ არ დაგრჩეს შენებურად.





ლია დაუშვილი

## სხვისი დედა ვიქნები

გულზე მიუკრავს თოჯინა ფოფოს
და დედასავით უმღერის ნანას:
— დახუჭე თვალი, რა დაგემართა,
ადამიანი არა ხარ, განა?
ისევ უმღერის, ისევ უწყრება:
— ნუ იხდი საბანს, გამიცივდები,
ახლა თუ წყნარად არ დაიძინებ,
წავალ და სხვისი დედა ვიქნები.

რამინ ამონაშვილი

## საყვედური

როგორ ვერ აგიხსენი,
როგორ ვერ გაგაგონე,
ბაღში ნუ მეფერები,
სახლში მოსვლა მადროვე,
თორემ ჩემზე ბავშვები
დედიკოს ბიჭს ამბობენ.





## ბაქია

ლომი დამითეთქვია,
დათვისთვის მითაქია,
ნეკა თითით მაღლა ვწევ
დევს, ბაყბაყას და რქიანს,
— ბავშვებთან რომ მოვყევი,
დამიძახეს ბაქია.

მხატვარი ლევან ბერიაშვილი

# კომისარ თანდილას
# საქმე № 003

ოთხი თვეა, ერთმანეთის მიყოლებით იძარცვება ქალაქის ყველაზე ცნობილი ფილატელისტების ბინები. დამნაშავე მარტო მოქმედებს. ყველა შემთხვევაში მეორდება ერთი და იგივე ხელწერა: შინ დაბრუნებულ ბინის პატრონებს ხელუხლებელი ხვდებათ ყველა ნივთი, გარდა მარკებისა. მძარცველს კოლექციიდან მიაქვს მხოლოდ იშვიათი და საუკეთესო მარკები. იგი არ ტოვებს თითის ანაბეჭდებს, არც ნაფეხურებს, არც რაიმე კვალს და ნივთმტკიცებას, გარდა წერილებისა, რომლებსაც ვერაფერი გაუგეს ვერც ქართველმა და ვერც უცხოელმა ექსპერტებმა.

კურკა სოსოს ფანჯარაზე ნაპოვნი წერილი:



ბურძგლა გიოს უჯრაში ნაპოვნი წერილი:



წარწერა ჯიპოს ოთახის კედელზე:



მინაწერი წრიპოს მარკების ალბომზე:





სამი დღე და სამი ღამე თანდილა ოთახიდან არ გამოსულა. ბოლოს კი დამნაშავის შიფრით შესრულებული პატაკი წარმოადგინა.



რომელიც ასე იკითხება:

დამნაშავე ფილატელისტია, სახელად გიორგი („კლიჩკა“ კუკუშკინი)

თუ რომელიმე თქვენგანი დანაშაულის ადგილზე ნაპოვნ ოთხივე წერილს გაშიფრავს (შიფრის გასაღებად გამოიყენეთ პატაკი), კომისარ თანდილას კლუბში ჩაირიცხება და მიიღებს პირველ ათ ქულას.

და თუ თავგადასავლებისა და საიდუმლოებით მოცული უცნაური ამბების მოყვარული ხარ, კომისარი კიდევ არაერთ თავსატეხს შემოგთავაზებს. ასე რომ, ყურადღებით იყავი: წლის ბოლოს 100 ქულის მფლობელი თანდილას პრიზით დაჯილდოვდება.

ხ 4/22
ეროვნული ბიბლიოთეკა




**გამოვიდა „დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკის I ტომი – მოთხრობები ძველი აღთქმის ისტორიიდან (კომენტარებით).**

დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალი „დილა“ და მასთან გაერთიანებული საბავშვო მწერალთა ასოციაცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს — „ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში“.

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნებელი ორიგინალური ნაწარმოებები (სამ ეგზემპლარად). სასურველია, ნაწარმოების მოცულობა არ აღემატებოდეს კომპიუტერზე აკრეფილ 3 გვერდს.

გაიცემა სამ-სამი პრემია: პროზასა და პოეზიაში: I პრემია — 300 ლარი; II პრემია — 200 ლარი; III პრემია — 100 ლარი;

გარდა ამისა, დაწესებულია ოთხი წამახალისებელი პრემია, თითოეული 50 ლარის ოდენობით.

საუკეთესოდ მიჩნეული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „დილაში“.

საკონკურსოდ ნაწარმოებები უნდა წარმოადგინოთ 2003 წლის 1 ოქტომბრამდე. შედეგები გამოქვეყნდება 2003 წლის დეკემბრის ბოლოს.




მთავარი რედაქტორი ᲓᲝᲓᲝ ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ

სარედაქციო საბჭო: ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲑᲣᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲚᲔᲙᲝ ᲒᲐᲑᲔᲚᲐᲘᲐ, ᲜᲐᲜᲘ ᲙᲐᲙᲐᲩᲘᲐ, ᲜᲐᲜᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
ᲛᲐᲒᲓᲐ ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ, ᲒᲘᲐ ᲚᲐᲤᲐᲣᲠᲘ, ᲘᲠᲛᲐ ᲚᲘᲙᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ᲗᲔᲐ ᲛᲘᲥᲐᲘᲐ,
ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲔᲖᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲠ ᲜᲘᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲕᲐᲟᲐ ᲧᲣᲑᲣᲡᲘᲫᲔ
ყდაზე ნახატი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30;
გამოდის 1904 წლიდან
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი